ფულადი ნაკადის და ლიკვიდობის გავლენა ნიგერიის ლისტინგური კომპანიების ფინანსურ მდგრადობაზე

ოლუსეგან აგბესუი
დოქტორანტი, ლაგოსის უნივერსიტეტი,
ფინანსების დეპარტამენტი, ნიგერია, kayode4uptime@gmail.com

აბას შირო
Ph.D., ლაგოსის უნივერსიტეტი, ფინანსების დეპარტამენტი,
ნიგერია, ashiro@unilag.edu.ng

საკვანძო სიტყვები: *ოპერაციული ფულადი ნაკადის კოეფიციენტი (OCFR); საინვესტიციო ფულადი ნაკადის კოეფიციენტი (ICFR); წმინდა ფულადი ნაკადის კოეფიციენტი (NCFR).*
J.E.L. Classification: G32, G39 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2024.28.01

ციტირებისათვის: Agbesuyi O., Shiro A., (2024). Effect of cash flow and liquidity on financial stability of listed firms in Nigeria (in English). Economic Profile, Vol. 19, 2(28), p. 7-16. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2024.28.01

ანოტაცია. *ნაშრომის მიზანია შეისწავლოს ფულადი ნაკადების და ლიკვიდურობის გავლენა ფირმების ფინანსურ მდგომარეობაზე ნიგერიაში, განსაკუთრებით დავალიანების თანაფარდობა კაპიტალთან (DE ან DER).*

ნაშრომში გამოყენებულია უმცირეს კვადრატთა მეთოდი რეგრესიული მოდელის შესაფასებლად. ეს საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რომელი ფაქტორები ახდენენ შერჩეულ კომპანიებში გავლენას DE-ზე. მათგან, წმინდა ფულადი ნაკადების კოეფიციენტი (NCFR) აშკარად არის ყველაზე მნიშვნელოვანი და დადებითად დაკავშირებული ფაქტორი, რომელიც აძლიერებს წმინდა ფულად ნაკადებს და შეესაბამება უფრო მაღალ DER-ებს.

ასევე, ფირმის ზომის (FSZ) მიხედვით გამოვლინდა უარყოფითი და მნიშვნელოვანი კოეფიციენტის შეფასება, რაც ხაზს უსვამს ამ კვლევის შედეგებს.

ნიგერიის კომპანიებისათვის გვაქვს ასეთი შედეგები: საჭიროა საოპერაციო ფულადი ნაკადების და ფულადი ნაკადების ინვესტირების უფრო ეფექტურად მართვა, DER-ის ეფექტურად მართვის მიზნით. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება მიექცეს წმინდა ფულადი ნაკადების კოეფიციენტს (NCFR) და ფოკუსირება მოხდეს დადებითი წმინდა ფულადი ნაკადების მიღწევაზე, როგორც გადამწყვეტ ასპექტზე ჯანსაღი ფინანსური მდგომარეობის შესანარჩუნებლად.